



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 683/ს



22/05/2020

683-11-4-202005221434

მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის წაბლის ჯიშის I, II, III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 12.561 - მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N217) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 28 იანვრის დასკვნის N5000486920, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2019 წლის 18 დეკემბრის N18/41841 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, 2020 წლის 11 თებერვლის N 1828 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2020 წლის 21 თებერვლის N 2575 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2020 წლის 12 მარტის N 3931 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N217 იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ზესტაფონის სატყეო უბნის, ბოსლების სატყეოს N26 კვარტლებში (ლიტერი 1,20,23,24,25,26,28,29), მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული 12.561 მ³ ფოთლოვანი სახეობის (წაბლი I, II, III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი